

შპს დელტა კომში და მისი შვილობილი კომპანია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	6
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	8
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	9

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	10
2. მომზადების საფუძვლები.....	10
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	11
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	12
5. ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	15
6. გაწეული მომსახურების თვითღირებულება	17
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17
8. ზარალი გაუფასურებიდან	17
9. ფინანსური ხარჯი	17
10. ძირითადი საშუალებები	18
11. არამატერიალური აქტივები	19
12. აქტივის გამოყენების უფლება.....	20
13. მარაგები.....	20
14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	21
15. ფული და ფულის ეკვივალენტები	22
16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	22
17. მიღებული ავანსები	23
18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	23
19. პირობითი ვალდებულებები	23
20. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება.....	24
21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	25
22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	26

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს დელტა კომმის მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს დელტა კომმისა და მისი შვილობილი კომპანიის (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობები ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის

პრინციპის გამოყენებასთან იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

- მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორთა დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი **SARAS-A-720718**)

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

11 აპრილი, 2020 წელი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს დელტა კომმის მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს დელტა კომმისა და მისი შვილობილი კომპანიის (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის

პრინციპის გამოყენებასთან იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე,

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორთა დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი: ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი **SARAS-A-720718**)



შპს „ბიდიოს“ სახელით
თბილისი, საქართველო
11 აპრილი, 2020 წელი

შპს დელტა კომში და მისი შვილობილი კომპანია
 სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	5	16,522,489	15,706,355
შემოსავალი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების იჯარიდან		239,389	239,389
სულ შემოსავალი		16,761,878	15,945,744
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	6	(12,374,948)	(12,580,599)
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება		(1,568,442)	(1,746,098)
საერთო მოგება		2,818,488	1,619,047
სხვა საოპერაციო შემოსავალი (ხარჯი), ნეტი		283,511	(28,968)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(5,298,749)	(5,760,875)
კომერციული ხარჯები		(60,259)	(165,921)
ზარალი გაუფასურებიდან	8	(812,059)	(4,077,683)
საოპერაციო ზარალი		(3,069,068)	(8,414,400)
ფინანსური ხარჯი	9	(1,532,023)	-
საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსავალი, ნეტი		718,246	554,623
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი (ხარჯი), ნეტი		32,653	(9,607)
ზარალი დაბეგვრამდე		(3,850,192)	(7,869,384)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა ზარალი		(3,850,192)	(7,869,384)
სხვა სრული ზარალი:			
წარსადგენ ვალუტაში გადაანგარიშების ეფექტი		(7,682)	(63,264)
მთლიანი სრული ზარალი		(3,857,874)	(7,932,648)
მთლიანი სრული ზარალი მიკუთვნებული:			
- დედა კომპანიის მესაკუთრეებზე		(3,825,284)	(7,807,762)
- არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე		(32,590)	(124,886)
		(3,857,874)	(7,932,648)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 11 აპრილს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი _____ ზ. ზარიძე

ფინანსური დირექტორი _____ გ. გაგნიძე

10-31 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს დელტა კომბი და მისი შვილობილი კომპანია
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	5	16,522,489	15,706,355
შემოსავალი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების იჯარიდან		239,389	239,389
სულ შემოსავალი		16,761,878	15,945,744
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	6	(12,374,948)	(12,580,599)
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება		(1,568,442)	(1,746,098)
საერთო მოგება		2,818,488	1,619,047
სხვა საოპერაციო შემოსავალი (ხარჯი), ნეტი		283,511	(28,968)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(5,298,749)	(5,760,875)
კომერციული ხარჯები		(60,259)	(165,921)
ზარალი გაუფასურებიდან	8	(812,059)	(4,077,683)
საოპერაციო ზარალი		(3,069,068)	(8,414,400)
ფინანსური ხარჯი	9	(1,532,023)	-
საკუროს სხვაობიდან მიღებული შემოსავალი, ნეტი		718,246	554,623
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი (ხარჯი), ნეტი		32,653	(9,607)
ზარალი დაბეგვრამდე		(3,850,192)	(7,869,384)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა ზარალი		(3,850,192)	(7,869,384)
სხვა სრული ზარალი:			
წარსადგენ ვალუტაში გადაანგარიშების ეფექტი		(7,682)	(63,264)
მთლიანი სრული ზარალი		(3,857,874)	(7,932,648)
მთლიანი სრული ზარალი მიკუთვნებული:			
- დედა კომპანიის მესაკუთრეებზე		(3,825,284)	(7,807,762)
- არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე		(32,590)	(124,886)
		(3,857,874)	(7,932,648)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 11 აპრილს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



ზ. ზარიძე

ფინანსური დირექტორი



გ. გაგნიძე

შპს დელტა კომში და მისი შვილობილი კომპანია
 ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	25,460,393	28,253,358
არამატერიალური აქტივები	11	-	228,290
აქტივის გამოყენების უფლება	12	237,568	-
სხვა მოთხოვნები	14	9,014,023	-
		34,711,984	28,481,648
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	13	949,497	2,219,337
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	4,056,180	14,127,914
ფული და ფულის ეკვივალენტები	15	112,536	32,506
		5,118,213	16,379,757
სულ აქტივები		39,830,197	44,861,405
კაპიტალი და ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სხვა ვალდებულებები	16	2,724,045	2,923,321
საიჯარო ვალდებულებები	12	211,484	-
		2,935,529	2,923,321
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	3,638,528	4,666,122
მიღებული ავანსები	17	2,624,857	2,849,577
საიჯარო ვალდებულებები	12	66,772	-
		6,330,157	7,515,699
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		12,275,728	12,275,728
გაუნაწილებელი მოგება		18,686,020	22,503,622
წარსადგენ ვალუტაში გადაანგარიშების ეფექტი		(51,625)	(43,943)
სულ ჯგუფის მფლობელებზე მისაკუთვნილები კაპიტალი		30,910,123	34,735,407
არამაკონტროლებელი წილი		(345,612)	(313,022)
სულ კაპიტალი		30,564,511	34,422,385
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		39,830,197	44,861,405

10-31 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს დელტა კომში და მისი შვილობილი კომპანია

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნა- წილებელი მოგება	წარსადგენ ვალუტაში გადაანგარი- შების ეფექტი	სულ ჯგუფის მფლობელე ბზე მისაკუთვნე ბელი კაპიტალი	არამაკონტ- როლებელი წილი	სულ კაპიტალი
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	12,275,728	30,248,120	19,321	42,543,169	(188,136)	42,355,033
მთლიანი სრული ზარალი	-	(7,744,498)	(63,264)	(7,807,762)	(124,886)	(7,932,648)
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	12,275,728	22,503,622	(43,943)	34,735,407	(313,022)	34,422,385
მთლიანი სრული ზარალი	-	(3,817,602)	(7,682)	(3,825,284)	(32,590)	(3,857,874)
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	12,275,728	18,686,020	(51,625)	30,910,123	(345,612)	30,564,511

10-31 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს დელტა კომში და მისი შვილობილი კომპანია
 ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე		(3,850,192)	(7,869,384)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		3,629,260	4,065,691
ზარალი (მოგება) გრძელვადიანი აქტივების რეალიზაციიდან		31,026	33,294
ძირითადი საშუალებების ჩამოწრა		-	20,587
მარაგების გაუფასურების ხარჯი	8	738,076	2,003,153
მოთხოვნების გაუფასურების (ამობრუნება) ხარჯი	8	(26,856)	222,596
ძირითადი საშუალებების გაუფასურების ხარჯი	8	-	1,851,934
არამატერიალური აქტივების გაუფასურების ხარჯი	8	100,839	-
შემოსავალი საკურსო სხვაობიდან		(718,246)	(554,623)
ფინანსური ხარჯი		1,532,023	-
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		1,435,930	(226,752)
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში			
მარაგების შემცირება		524,081	530,997
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა) შემცირება		336,006	(645,240)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების (შემცირება) ზრდა		(1,259,694)	1,070,112
მიღებული ავანსების შემცირება		(224,720)	(427,991)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		811,603	301,126
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალების შეძენა	10	(814,052)	(516,617)
ძირითადი საშუალების რეალიზაცია	10	121,696	65,184
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(692,356)	(451,433)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
გადახდილი საიჯარო ვალდებულებები	12	(38,916)	-
საფინანსო საქმიანობისთვის გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(38,916)	-
წმინდა ზრდა (კლება) ფულისა და ფულის ეკვივალენტებში		80,333	(150,307)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	15	32,506	242,817
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი		(303)	(60,004)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	15	112,536	32,506

10-31 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება დელტა კომმი (შემდგომში დედა კომპანია) დაფუძნდა 2002 წლის სექტემბერში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

შპს მაგთიკომმი არის დედა კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

დედა კომპანიის უმაღლესი მმართველი ორგანო არის სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც წარმოდგენილია სამი წევრით: გიორგი ჯოხთაბერიძე, ანდრია ზოდელავა და ნათია კახიძე. დედა კომპანიის გენერალური დირექტორია ზურაბ ზარიძე.

დედა კომპანიის ძირითადი საოპერაციო საქმიანობა არის:

- კომპიუტერული და სატელეკომუნიკაციო ტექნიკის და აქსესუარების იმპორტი და რეალიზაცია
- ოპტიკურ ბოჭკოვანი კაბელის/ქსელის მშენებლობა მთელი საქართველოს მასშტაბით;
- ინტერნეტ და საკომუნიკაციო სერვისები.

დედა კომპანიის იურიდიული მისამართია გაფრინდაულის # 2, თბილისი, საქართველო.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს 4 K Communication LLC (შემდგომში შვილობილი კომპანია), რომელიც არის ინტერნეტ-პროვაიდერი, დაფუძნების ქვეყანა არის სომხეთი. 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს დელტა კომმი ფლობს 75%-იან წილს აღნიშნულ შვილობილ კომპანიაში.

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს ჯგუფის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

შეფასების საფუძვლები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

შპს დელტა კომმი და მისი შვილობილი კომპანიის (შემდგომში ჯგუფი) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში. დედა კომპანიის ფუნქციური ვალუტა არის ქართული ლარი, ხოლო შვილობილი კომპანიის სომხური დრამი. ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფუნქციონირებადი საწარმო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ჯგუფის საქმიანობის ფუნქციონირებადობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ჯგუფის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ განაგრძონ ჯგუფი საქართველოში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია ჯგუფისთვის.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2019 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები

ფასს 16 - იჯარა არის ახალი სტანდარტი, რომელმაც გამოიწვია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება და რომლის საფუძველზეც მომზადებულია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება.

ჯგუფი იყენებს ფასს 16-ს 2019 წლის 1 იანვრის თარიღით. ჯგუფმა არ შეასწორა შესადარისი პერიოდის ინფორმაცია ახალ სტანდარტზე გადასვლის გამო. მე-20 შენიშვნაში მოცემულია ფასს 16-ის დანერგვის გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სხვა ახალ სტანდარტებს, ინტერპრეტაციებსა და შესწორებებს, რომელიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან არ გააჩნია გავლენა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაზე, რადგან არ არის კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

ჯგუფმა გადაწყვიტა ნაადრევად არ მიეღო ის ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომელიც გამოიცა IASB-ის მიერ, თუმცა ჯერ არ არის შესული ძალაში. ყველაზე მნიშვნელოვანი ამ სიახლეებიდან არის ქვემოთ ჩამოთვლილი და ისინი ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვრიდან:

- ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (შესწორება - არსებითის განმარტება)
- ფასს 3 - საწარმოთა გაერთიანება (შესწორება - ბიზნესის განმარტება)
- ფინანსური ანგარიშგების განახლებული კონცეპტუალური საფუძვლები

ამჟამად, ჯგუფი აფასებს ცვლილებების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

სხვა

ჯგუფი არ ვარაუდობს, რომ IASB-ის მიერ გამოშვებულ სხვა სტანდარტებს, რომლებიც ჯერ ძალაში არ არის შესული, ექნება არსებითი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს ჯგუფის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება (იხილეთ შენიშვნა 14)

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

ცვეთის/ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ჯგუფი აქტივიდან სარგებლის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

საქმიანობის პროცესში ჯგუფი დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- საბაზრო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

სხვა ბიზნესების მსგავსად, ჯგუფი დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს ჯგუფის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

ჯგუფისთვის რისკის წარმომქმნელი ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიებია:

- ფული და ფულის ეკვივალენტები
- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები წარდგენილია ამორტიზებადი ღირებულებით.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება არსებითად ედრება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ჯგუფის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ჯგუფის ფინანსური მხარისთვის.

ჯგუფის ხელმძღვანელობა ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას ჯგუფის ფინანსური დეპარტამენტისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას.

ჯგუფის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანია შეიმუშაოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს შეამციროს რისკები მისაღებ დონემდე და ამასთანავე მისი გამოყენებით მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. ჯგუფის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო მოთხოვნებიდან, ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძვლიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, ჯგუფი მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად ჯგუფი განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი იურიდიული პირია თუ ფიზიკური, საბითუმო მომხმარებელია თუ საცალო, მომხმარებლების გეოგრაფიულ განაწილებას და წარსულში ფინანსური სიმძნელების არსებობას. მაღალრისკიანი მომხმარებლები გაერთიანებულია შეზღუდულ მომხმარებელთა ჯგუფში და მათზე რეალიზაცია ხორციელდება წინასწარი ანაზღაურების საფუძველზე, ასევე წინასწარი ანაზღაურების საფუძველზე ხორციელდება რეალიზაცია ყოველი ახალი მომხმარებლის შემთხვევაში.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ვადაგადაცილებული ან გაუფასურებული სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ინფორმაცია განმარტებულია მე-14 შენიშვნაში.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ჯგუფის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი).

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო. ჯგუფს მინიმუმამდე აქვს დაყვანილი საპროცენტო რისკი, რადგან არ ფლობს ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებს.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. ჯგუფის საფრთხეს სავალუტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობით გამოწვეული ეფექტების გავლენა მის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულადი სახსრების მოძრაობაზე.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სომხური დრამი	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	8,483	81,027	5,185	17,841	112,536
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,965,070	9,065,307	4,471	-	13,034,848
	3,973,553	9,146,334	9,656	17,841	13,147,384
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,967,125	1,118,660	165,241	174,502	3,425,528
საიჯარო ვალდებულებები	278,256	-	-	-	278,256
	2,245,381	1,118,660	165,241	174,502	3,703,784
ღია საბალანსო პოზიცია	1,728,172	8,027,674	(155,585)	(156,661)	9,443,600

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სომხური დრამი	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	15,813	3,831	12,278	584	32,506
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,043,695	9,875,738	2,311	-	13,921,744
	4,059,508	9,879,569	14,589	584	13,954,250
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,245,876	1,464,757	208,715	173,803	4,093,151
ღია საბალანსო პოზიცია	1,813,632	8,414,812	(194,126)	(173,219)	9,861,099

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)**სავალუტო რისკისადმი მგრძნობელობა**

მოცემული ცხრილი წარმოადგენს ჯგუფის მგრძნობელობას უცხოური ვალუტის ლართან მიმართებაში 20%-ით ცვლილების შემთხვევაში. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების გადაფასების ეფექტი მნიშვნელოვან სავალუტო ნაშთებზე 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2019	2018	2018
სავალუტო რისკის მგრძნობელობის ეფექტი მოგება/(ზარალი)	+20%	-20%	+20%	-20%
აშშ დოლარი	1,605,535	(1,605,535)	1,682,962	(1,682,962)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში.

ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ჯგუფი ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

ლიკვიდობის ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	112,536	-	112,536
სავაჭრო მოთხოვნები	4,020,825	9,014,023	13,034,848
	4,133,361	9,014,023	13,147,384
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,425,528	-	3,425,528
საიჯარო ვალდებულებები	66,712	211,484	333,860
	3,492,300	211,484	3,584,886
ლიკვიდურობის სხვაობა	641,061	8,802,539	
აკუმულირებული ლიკვიდურობის სხვაობა	641,061	9,443,600	

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური აქტივები და ვალდებულებები სრულად წარმოდგენილია ერთ წლამდე ლიკვიდურობით, ლიკვიდურობის სხვაობა შეადგენს **9,861,099 ლარს**.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას ჯგუფი მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსის შენარჩუნების უნარი თითოეული კომპანიისთვის, ისე რომ არ შეწყვიტოს მეწილეებისათვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მეწილეებისთვის სარგებელი რისკის დონის თანაბარზომიერად საქონლისა და მომსახურების შეფასებით.

ჯგუფი განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. ჯგუფი მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

5. ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

	2019	2018
შემოსავალი სამშენებლო მომსახურებიდან*	9,557,510	8,604,467
გადაცემული ღირებულების ტექნიკური მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	3,305,097	2,958,758
შემოსავალი ინტერნეტიდან და საკომუნიკაციო მომსახურებებიდან	2,019,725	1,846,416
შემოსავალი IT საქონლის რეალიზაციიდან**	1,640,157	2,296,714
	16,522,489	15,706,355

მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებების წარმოქმნილი შესასრულებელი ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგ ჯგუფებად:

- სამშენებლო მომსახურება მოიცავს ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების დამონტაჟებას ქუჩის განათებებზე და ელექტრო გადამცემ ბოძებზე თბილისში. შემოსავლები აღიარებულია დანახარჯებზე დაფუძნებული გამოყენებული რესურსების მეთოდით.
- გადაცემული ღირებულების ტექნიკური მომსახურები, რომელიც მოიცავს „შეუზღუდავი გამოყენების უფლების“ ხელშეკრულების ფარგლებში გადაცემული წვერების პროფილაქტიკურ-ტექნიკურ და საავარიო აღდგენითი მომსახურებებს. შემოსავლები აღიარებულია გამოყენებული რესურსების მეთოდით, წრფივი მეთოდის საფუძველზე.
- შემოსავალი ინტერნეტიდან და საკომუნიკაციო მომსახურებებიდან მოიცავს საბოლოო მომხმარებელთან ინტერნეტ მომსახურებებს და შეერთების პორტებთან დაშვების მომსახურებებს. შემოსავლები აღიარებულია გამოყენებული რესურსების მეთოდით, წრფივი მეთოდის საფუძველზე.
- კომპიუტერული ტექნიკის რეალიზაცია.

ჯგუფი შემოსავალს აღიარებს დროთა განმავლობაში, რადგან მომხმარებელი იღებს და მყისიერად მოიხმარს მიღებულ სარგებელს, ჯგუფის მხრიდან შესასრულებელი ვალდებულების შესრულებისთანავე, გარდა კომპიუტერული ტექნიკის რეალიზაციისა, რომელიც აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, გამომდინარე იქიდან, რომ მომხმარებელს კონტროლი გადაეცემა ჯგუფის საწყობიდან კომპიუტერული ტექნიკის გატანის მომენტში.

მომხმარებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში ჯგუფი წარმოადგენს მარწმუნებელს.

შემოსავლების დაყოფა საქონლის და მომსახურების გადაცემის პერიოდის მიხედვით:

	2019	2018
დროთა განმავლობაში, გამოყენებული რესურსების მეთოდი	14,882,332	13,409,641
დანახარჯებზე დაფუძნებული გამოყენებული რესურსების მეთოდით.	9,557,510	8,604,467
წრფივი მეთოდით	5,324,822	4,805,174
დროის გარკვეულ მომენტში	1,640,157	2,296,714
	16,522,489	15,706,355

*2017 წლის იანვარში შპს დელტა კომპი და მის ერთადერთ მფლობელს შპს მაგთიკომს შორის გაფორმდა სამშენებლო მომსახურების ხელშეკრულება. პროექტი ითვალისწინებს ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების დამონტაჟებას ქუჩის განათებებზე და ელექტრო გადამცემ ბოძებზე თბილისში და საქართველოს სხვა რეგიონებში. სამშენებლო კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლები მოიცავს ასევე ინსტალაციისა და აბონენტების ჩართვიდან მიღებულ შემოსავლებს.

**ჯგუფი სპეციალიზებულია კომპიუტერულ და სატელეკომუნიკაციო აღჭურვილობის განხრით. შპს დელტა კომპი წარმოადგენს IBM, CISCO SYSTEMS, LENOVO, Dell, Juniper, Tripp Lite, and Pelco-ს პროდუქციის ძირითად რეალიზატორს ადგილობრივ ბაზარზე. ძირითად სარეალიზაციო საქონელს წარმოადგენს მონაცემთა შენახვის სერვერები, სატელეკომუნიკაციო სისტემები და სხვა კომპიუტერული აღჭურვილობები, ასევე, პროგრამები და ლიცენზიები. ჯგუფის ძირითადი მომხმარებლები არიან მსხვილი კომპანიები ან სახელმწიფო დაწესებულებები. საქონელი ძირითადად გაიცემა მომწოდებლის გარანტიით.

შპს დელტა კომბი და მისი შვილობილი კომპანია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ლარში)

5. ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან (გაგრძელება)

სახელშეკრულებო აქტივებისა და ვალდებულებების შეჯერება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საკონტრაქტო აქტივი 2019	საკონტრაქტო აქტივი 2018	საკონტრაქტო ვალდებულება 2019	საკონტრაქტო ვალდებულება 2018
1 იანვარი	878,337	249,144	658,071	658,071
სახელშეკრულებო აქტივიდან მოთხოვნებში გადასვლა	(878,337)	(249,144)	-	-
აღიარებული შემოსავლის გადაჭარბება მისაღებ ანაზღაურებასთან მიმართებაში	921,883	878,337	-	-
31 დეკემბერი	921,883	878,337	658,071	658,071

სახელშეკრულებო აქტივები წარდგენილი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში (შენიშვნა 14), ხოლო სახელშეკრულებო ვალდებულებები მიღებული ავანსებში (შენიშვნა 17).

სახელშეკრულებო აქტივი წარმოიშვება სამშენებლო კონტრაქტების შემოსავლების აღიარებიდან დროთა განმავლობაში. სახელშეკრულებო ვალდებულების ნაშთი არის უცვლელი 2018 და 2019 წლის განმავლობაში, რადგან ხელშეკრულების მიხედვით მომხმარებელმა უნდა განსაზღვროს პროდუქტის მიღების ადგილმდებარეობა (გადასაცემი წვერების წერტილები).

ძირითადად მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები არის ერთ წლამდე ვადით, შედეგად ჯგუფი იყენებს ფასს 15-ის 121 (ა)(ბ) პუნქტებში მოცემულ შეღავათს და არ განმარტავს მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებების დარჩენილ შესასრულებელ ვალდებულებებს.

- შესასრულებელი ვალდებულება ისეთი ხელშეკრულების ნაწილია, რომლის თავდაპირველი მოსალოდნელი ვადა არ აღემატება ერთ წელს; ან
- საწარმო შესასრულებელი ვალდებულების დაფარვის შედეგად ამონაგებს აღიარებს 816 პუნქტის შესაბამისად.

შემოსავლების ოდენობა, რომელიც აღიარებული იქნება მომავალში „გადაცემული ღირებულების ტექნიკური მომსახურების“ კონტრაქტების მიხედვით, როდესაც დაკმაყოფილდება დარჩენილი შესასრულებელი ვალდებულებები, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

2019 წლის 31 დეკემბერი	2019*	2020	2021-2024	2025-2030	სულ
შპს მაგთიკომი	2,020,752	2,041,414	8,126,106	-	10,167,520
შპს სილქნეტი	554,522	560,192	2,240,769	2,802,496	5,603,457
შპს რკინიგზის ტელეკომი	729,823	737,286	2,949,143	1,104,918	4,791,347
	3,305,097	3,338,892	13,316,018	3,907,414	20,562,324
2018 წლის 31 დეკემბერი	2018*	2019	2020-2023	2024-2029	სულ
შპს მაგთიკომი	1,809,257	1,905,376	7,621,505	1,800,972	11,327,854
შპს სილქნეტი	496,302	522,862	2,091,447	3,140,035	5,754,344
შპს რკინიგზის ტელეკომი	653,199	688,154	2,752,615	1,721,327	5,162,096
	2,958,758	3,116,392	12,465,567	6,662,335	22,244,294

*მოიცავს ფაქტიურ შემოსავლებს.

შპს დელტა კომბი და მისი შვილობილი კომპანია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ლარში)

6. გაწეული მომსახურების თვითღირებულება

	2019	2018
ხელფასები	(1,579,903)	(2,339,176)
ცვეთა	(2,227,520)	(2,218,330)
ინტერნეტის შესყიდვის ხარჯი	(465,337)	(803,305)
სამშენებლო მომსახურების თვითღირებულება*	(7,003,762)	(6,197,341)
ხელფასები	(2,923,223)	(2,089,962)
მივლინების ხარჯი	(1,107,053)	(1,081,329)
შესყიდული მომსახურებების ხარჯი	(938,640)	(1,059,808)
საწვავი	(1,144,020)	(922,204)
ცვეთა	(666,049)	(772,477)
გამოყენებული მარაგები	(224,777)	(271,561)
კაბელის განთავსების უფლების მოპოვების ხარჯები	(839,937)	(757,580)
სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა	(238,820)	(258,892)
სხვა ხარჯები	(19,669)	(5,975)
	(12,374,948)	(12,580,599)

*დამატებითი ინფორმაცია სამშენებლო მომსახურების შესახებ განმარტებულია მე-5 შენიშვნაში.

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2019	2018
ხელფასები	(1,750,866)	(2,154,509)
რემონტის და შეკეთების ხარჯი	(1,482,554)	(1,315,315)
ცვეთა და ამორტიზაცია	(735,691)	(1,074,884)
საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგების გადასახადისა	(258,698)	(351,754)
კომუნალურები	(247,431)	(258,077)
საწვავი	(142,326)	(62,964)
სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა	(120,977)	(131,954)
საკონსულტაციო ხარჯი	(126,662)	(134,252)
სხვა	(433,544)	(277,166)
	(5,298,749)	(5,760,875)

უმაღლესი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურების შესახებ განმარტებულია მე-18 შენიშვნაში.

8. ზარალი გაუფასურებიდან

	2019	2018
მარაგების ჩამოწერა ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე	(738,076)	(2,003,153)
არამატერიალური აქტივების გაუფასურება (მე-11 შენიშვნა)	(100,839)	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების (ხარჯი)	26,856	(222,596)
ამობრუნება (მე-14 შენიშვნა)	-	(1,851,934)
ძირითადი საშუალებების გაუფასურება (მე-10 შენიშვნა)	-	(1,851,934)
	(812,059)	(4,077,683)

9. ფინანსური ხარჯი

	2019
ფინანსური აქტივების საწყისი აღიარების ეფექტი (შენიშვნა 14)	(1,499,933)
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებაზე (შენიშვნა 12)	(32,090)
	(1,532,023)

შპს დელტა კომში და მისი შვილობილი კომპანია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ლარი)

10. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა და შენობები	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები და მძიმე ტექნიკა	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	ქსელური და მონაცემთა ბაზის აღჭურვილობა	დაუმთავრებელი მშენებლობა	ობიექტურ- ბოჭკოვანი ქსელის ინფრასტრუქტურა	სულ
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	3,702,855	2,380,948	9,330,220	3,863,921	7,592,236	2,051,052	24,860,873	53,782,105
შემოსვლა	39,000	267,947	-	39,876	150,439	14,008	5,347	516,617
რეკლასიფიკაცია დაუმთავრებელი მშენებლობიდან	-	-	-	-	213,126	(213,126)	-	-
გასვლა	-	(165,722)	(1,429,018)	(259,710)	(454,675)	-	-	(2,309,125)
გაუფასურება	-	-	-	-	-	(1,851,934)	-	(1,851,934)
რეკლასიფიკაცია საინვესტიციო ქონებიდან*	403,097	-	-	-	-	-	-	403,097
გასვლა	-	(27,008)	(75,334)	(77,139)	(110,920)	-	-	(290,401)
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	4,144,952	2,621,887	9,254,886	3,826,658	7,844,881	-	24,866,220	52,559,484
შემოსვლა	121,706	37,072	-	63,782	83,158	508,334	-	814,052
რეკლასიფიკაცია მშენებლობიდან	508,334	-	-	-	-	(508,334)	-	-
გასვლა	-	(30,337)	(1,038,383)	(32,638)	(59,753)	-	-	(1,161,111)
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	4,774,992	2,628,622	8,216,503	3,857,802	7,868,286	-	24,866,220	52,212,425
დაგროვილი ცვეთა								
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	(1,081,782)	(1,942,282)	(5,568,009)	(3,153,097)	(3,384,248)	-	(5,514,649)	(20,644,067)
ცვეთა	(125,978)	(196,569)	(741,578)	(397,101)	(1,177,685)	-	(1,089,196)	(3,728,107)
გასვლა	-	11,319	55,965	25,422	78,630	-	-	171,336
რეკლასიფიკაცია საინვესტიციო ქონებიდან*	(105,288)	-	-	-	-	-	-	(105,288)
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	(1,313,048)	(2,127,532)	(6,253,622)	(3,524,776)	(4,483,303)	-	(6,603,845)	(24,306,126)
ცვეთა	(125,970)	(161,893)	(684,913)	(291,161)	(1,105,475)	-	(1,084,883)	(3,454,295)
გასვლა	-	26,370	911,815	27,654	42,550	-	-	1,008,389
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	(1,439,018)	(2,263,055)	(6,026,720)	(3,788,283)	(5,546,228)	-	(7,688,728)	(26,752,032)
ნეტო საბალანსო ღირებულება								
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2,831,904	494,355	3,001,264	301,882	3,361,578	-	18,262,375	28,253,358
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	3,335,974	365,567	2,189,783	69,519	2,322,058	-	17,177,492	25,460,393

10. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

დაუმთავრებელი მშენებლობა წარმოადგენს ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის და ინფრასტრუქტურის მშენებლობის ფარგლებში გახარჯული მარაგების და სხვა მშენებლობასთან დაკავშირებული ხარჯების კაპიტალიზაციას. 2018 წლის ბოლოს ჯგუფის მენეჯმენტმა სამომავლო ბიზნესის განვითარების მიზნებიდან გამომდინარე შეაფასა დაუმთავრებელი მშენებლობის სამომავლო სარგებლის მიღების ალბათობა, გამომდინარე იქიდან რომ ჯგუფი არ გეგმავს სამომავლო სარგებლის მიღებას დაუმთავრებელი მშენებლობიდან მენეჯმენტმა მოახდინა ამ აქტივების გაუფასურება.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ოპტიკურ ბოჭკოვანი ქსელი მოიცავს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მდებარე 1,939 კმ სიგრძის მიწის ქვეშა და 252 კმ სიგრძის მიწის ზედა კაბელს. თბილისში არსებული ქსელიდან დაახლოებით 60 კმ არის მიწისქვეშა.

ჯგუფმა 2018 წლის დეკემბრიდან დაიწყო გაფრინდაულის 2 ნომერში არსებული ფართის გამოყენება ძირითადი სამქიანობისთვის, რომელიც 2017 წლის 31 დეკემბრისთვის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარდგენილი იყო როგორც საინვესტიციო ქონება, შესაბამისად 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფმა გააკეთა 297,809 ლარის ღირებულების (403,097 ლარის ისტორიული ღირებულება და 105,288 ლარის დაგროვილი ცვეთა) საინვესტიციო ქონების რეკლასიფიკაცია ძირითად საშუალებებში.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს მაგთიკომის მიერ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისგან მიღებული სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთულია შპს დელტა კომპის ძირითადი საშუალებები კლასიფიცირებული, როგორც ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის ინფრასტრუქტურა, 7,664,338 ლარის ნეტო საბალანსო ღირებულებით. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ძირითადი საშუალებები არ არის დატვირთული შპს მაგთიკომის სასარგებლოდ.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიასთან არსებული დავის* ფარგლებში დედა კომპანიას აკრძალული აქვს წლების შესაბამისად 711,037 და 634,397 ლარის ნეტო საბალანსო ღირებულების მქონე უძრავი ქონების გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა. *სასამართლო დავის შესახებ დამატებითი ინფორმაცია გაშიფრულია მე-19 შენიშვნაში.

11. არამატერიალური აქტივები

	გრძელ- ვადიანი უფლება	ინფრასტრუქტურის მართვის სისტემა	პროგრამა	სხვა	სულ
ისტორიული ღირებულება					
2017 წლის 31 დეკემბერი	1,102,935	207,627	257,252	152,888	1,720,702
შემოსვლა	-	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	1,102,935	207,627	257,252	152,888	1,720,702
გაუფასურება*	-	(207,627)	(257,252)	(152,888)	(617,767)
2019 წლის 31 დეკემბერი	1,102,935	-	-	-	1,102,935
დაგროვილი ამორტიზაცია					
2017 წლის 31 დეკემბერი	(654,138)	(134,103)	(251,800)	(114,787)	(1,154,828)
ამორტიზაცია	(321,346)	(6,884)	(3,638)	(5,716)	(337,584)
2018 წლის 31 დეკემბერი	(654,138)	(134,103)	(251,800)	(114,787)	(1,154,828)
ამორტიზაცია	(127,451)	-	-	-	(127,451)
გაუფასურება*	-	140,987	255,438	120,503	516,928
	(1,102,935)	-	-	-	(1,102,935)
ნეტო საბალანსო ღირებულება					
2018 წლის 31 დეკემბერი	127,451	66,640	1,814	32,385	228,290
2019 წლის 31 დეკემბერი	-	-	-	-	-

* 2019 წლის იანვარში მდგომარეობით ჯგუფის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა გაუფასურებინა დედა კომპანიის მიერ ბალანსზე რიცხული არამატერიალური აქტივები, აქტივების გამოყენებიდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღების დაბალი ალბათობის გამო. 100,839 ლარის გაუფასურების ზარალი, წარდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც გაუფასურებიდან მიღებული ზარალი.

შპს დელტა კომბი და მისი შვილობილი კომპანია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

12. აქტივის გამოყენების უფლება

ჯგუფს იჯარით აღებული აქვს ფართი სერვერების განსათავსებლად. აქტივის საიჯარო გადასახდელი არის ფიქსირებული. საიჯარო გადასახდელები წარმოდგენილია ლარში.

ხელმძღვანელობა გონივრულად ვარაუდობს სერვერების განსათავსებლად აღებული საიჯარო ფართის შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულებებით განსაზღვრული საიჯარო ვადების გაგრძელების უფლების გამოყენებას აქტივის ღირებულების განსაზღვრის მომენტიდან 6 წლის ვადით (2024 წლის 31 დეკემბრამდე).

იჯარების ხელშეკრულება განსაზღვრავს ფიქსირებულ საიჯარო გადასახდელს არაგაუქმებადი პერიოდისთვის, რამდენადაც გაგრძელების უფლება გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. ჯგუფი ამგვარი საიჯარო პერიოდისთვის იყენებს არაგაუქმებადი პერიოდისთვის განსაზღვრულ ფიქსირებულ გადასახდელებს.

აქტივების გამოყენების უფლების მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

2019 წლის 1 იანვარი	285,082
ცვეთა	(47,514)
2019 წლის 31 დეკემბერი	237,568

საიჯარო ვალდებულების მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

2019 წლის 1 იანვარი	285,082
საპროცენტო ხარჯი	32,090
გადახდა	(38,916)
2019 წლის 31 დეკემბერი	278,256

საიჯარო ვალდებულებების რეალური ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან.

საიჯარო ვალდებულების დაყოფა ვალუტებისა და დაფარვის ვადების მიხედვით მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

13. მარაგები

	2019	2018
მშენებლობისთვის გამიზნული მარაგები	691,518	1,293,467
გასაყიდი პროდუქტი	257,979	925,870
	949,497	2,219,337

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგების ღირებულება მოიცავს სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოფასების ზარალს 738,076 და 2,003,153 ლარის ოდენობით, წლების შესაბამისად.

შპს დელტა კომბი და მისი შვილობილი კომპანია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2019	2018
გრძელვადიანი მოთხოვნები		
სხვა მოთხოვნები დაკავშირებულ მხარესთან*	9,014,023	-
მოკლევადიანი მოთხოვნები		
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები დაკავშირებულ მხარესთან	-	1,964,564
სხვა მოთხოვნები დაკავშირებულ მხარესთან*	1,436,518	9,815,765
საკონტრაქტო აქტივი	921,883	878,337
სხვა სავაჭრო მოთხოვნები	4,353,920	3,948,687
საექვო ვალების რეზერვი	(2,691,496)	(2,685,609)
	4,020,825	13,921,744
არაფინანსური მოთხოვნები		
გაცემული ავანსები	170,641	182,429
წინასწარ გადახდილი გადასახადები	358	192,128
საექვო ვალების რეზერვი	(135,644)	(168,387)
	35,355	206,170
სულ მოკლევადიანი მოთხოვნები	4,056,180	14,127,914
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13,070,203	14,127,914

*2019 წელს ჯგუფის მფლობელმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ საცალო ბიზნესის რეალიზაციიდან წარმოშობილი მოთხოვნა გაიქვითება დივიდენდების ვალდებულებასთან, რომელსაც მფლობელები 2021 წელს დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გამოაცხადებენ. შესაბამისად, 9,014,023 ლარის მოთხოვნები ჯგუფის დედა კომპანიასთან წარდგა როგორც გრძელვადიანი, მოთხოვნის რეალური ღირებულებით აღრიცხვისთვის საწყისი აღიარების 1,499,933 ლარის ეფექტი წარდგენილია როგორც ფინანსური ხარჯი. განაკვეთი, რომელიც გამოყენებულია დადისკონტირებისთვის არის 8%.

ფინანსური აქტივების დაყოფა ვალუტების მიხედვით მოცემულია მე-4 შენიშვნაში. საკონტრაქტო აქტივისთვის საანგარშგებო წლის საწყისისა და საბოლოო ნაშთების რეკონსილაცია იხილეთ მე-5 შენიშვნაში.

ჯგუფის მოთხოვნები გაუფასურდა როგორც ინდივიდუალურად ისე კოლექტიურად. ჯგუფურად გაუფასურებული ფინანსური მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი ვადაგადაცილების დღეების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

31 დეკემბერი 2019

		ვადაგადაცილება დღეებში					
	მიმდინარე	1-30'	31-120'	121-365	>365		ჯამი
მოსალოდნელი დანაკარგი	1%	10%	25%	50%	100%		
მთლიანი ღირებულება	2,525,351	73,293	21,674	102,023	2,294,946		5,017,287
ანარიცხი მოსალოდნელ დანაკარგზე	(25,254)	(7,329)	(5,419)	(51,011)	(2,294,946)		(2,383,959)

31 დეკემბერი 2018

		ვადაგადაცილება დღეებში					
	მიმდინარე	1-30'	31-120'	121-365	>365		ჯამი
მოსალოდნელი დანაკარგი	1%	10%	25%	50%	100%		
მთლიანი ღირებულება	2,200,448	101,456	325,701	74,659	2,395,554		5,097,818
ანარიცხი მოსალოდნელ დანაკარგზე	(22,004)	(10,146)	(81,425)	(37,330)	(2,395,554)		(2,546,459)

შპს დელტა კომბი და მისი შვილობილი კომპანია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

საექვო ვალების რეზერვის მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
1 იანვრისთვის	(2,853,996)	(2,789,644)
მიღებული თანხები	135,614	35,090
რეზერვის ზრდა	(108,758)	(257,686)
პერიოდის ხარჯი	26,856	(222,596)
ჩამოწერილი მოთხოვნები	-	158,244
31 დეკემბრისთვის	(2,827,140)	(2,853,996)
ინდივიდუალურად გაუფასურებული	(443,181)	(307,537)
კოლექტიურად გაუფასურებული	(2,383,959)	(2,546,459)

15. ფული და ფულის ეკვივალენტები

	2019	2018
ფული ბანკში რეზიდენტ ვალუტაში	8,483	15,813
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	104,053	16,693
	112,536	32,506

ფულისა და ფულის ეკვივალენტების დაყოფა ვალუტების მიხედვით განმარტებულია მე-4 შენიშვნაში.

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

გრძელვადიანი სხვა ვალდებულებები სრულად წარმოდგენილია როგორც დღგ-ს ვალდებულება ოპტიკურ-ბოჭკოვანი წვერების რეალიზაციის შედეგად. დღგ-ს ვალდებულება გრძელვადიანი ვალდებულებებიდან რეკლასიფიცირდება მოკლევადიანად იმ შემთხვევაში, როდესაც საგადასახადო მიზნებისათვის მოუწევს დადგკლარირება.

	2019	2018
ამორტიზებადი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულება		
სავაჭრო ვალდებულება	2,884,975	3,311,474
სახელფასო ვალდებულება	24,713	273,187
სხვა ვალდებულება	515,840	508,490
	3,425,528	4,093,151
არაფინანსური ვალდებულება		
საგადასახადო ვალდებულება	213,000	572,971
	3,638,528	4,666,122

ფინანსური ვალდებულებების განაწილება ვალუტების მიხედვით განმარტებულია მე-4 შენიშვნაში.

შპს დელტა კომბი და მისი შვილობილი კომპანია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

17. მიღებული ავანსები

	2019	2018
საიჯარო მომსახურებისთვის მიღებული ავანსები	1,836,111	2,118,589
სახელშეკრულებო ვალდებულება**	658,071	658,071
სხვა	130,675	72,917
	2,624,857	2,849,577

2009 წლის დეკემბრის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე შპს „ჯეოსელმა“ შეთანხმებული 2000-კმ-იანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელიდან 2011-დან 2013 წლამდე პერიოდში შეიძინა 1,897 კმ. შედეგად, 2018 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიღებული ავანსის ნაშთი წარმოადგენს დანარჩენ 103 კმ-ზე ავანსად მიღებულ თანხას.

2018 წლის 1 ნოემბრიდან განხორციელდა შპს „ჯეოსელის“ შერწყმა სს „სილქნეტთან“. შესაბამისად, ჯეოსელის მაგვირად 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს ავანსი მიღებული აქვს სილქნეტისგან.

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ჯგუფისა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
	მფლობელი	მფლობელი
შესყიდული მარაგები	86,475	43,779
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11,372,424	12,658,666
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	297,967	196,703
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	905,491	390,315
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	12,322,113	11,067,260
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(66,576)	(72,384)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	278,414	37,486

უმაღლესი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
- თანამშრომლის მოკლევადიანი სარგებელი	70,405	80,000

19. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დედა კომპანიას გააჩნია სასამართლო დავა შპს სატრანსპორტო კომპანიასთან. დავის საგანია უნდა მომხდარიყო თუ არა 2018 წელს იჯარის ხარჯების დარიცხვა გაზრდილი ტარიფის შესაბამისად. სასამართლოს პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების შესაბამისად მენეჯმენტი არ მოელის რომ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ჯგუფიდან მოხდება მომავალში სარგებლის გასვლა, რადგან ვალდებულებები და საიჯარო ხარჯები სრულად აქვს აღიარებული შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიასთან არსებული ხელმოწერილი ხელშეკრულების საფუძველზე. შპს სატრანსპორტო კომპანიამ გაასაჩივრა სასამართლოს პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება.

20. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება

ჯგუფი იყენებს ფასს 16-ს 2019 წლის 1 იანვრის თარიღით. ჯგუფმა არ შეასწორა შესადარისი პერიოდის ინფორმაცია ახალ სტანდარტზე გადასვლის გამო. შესაბამისად, შესადარისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგება არ არის გადაანგარიშებული. აღნიშნული სახით მოცემულ სტანდარტზე გადასვლა გულისხმობს, რომ სტანდარტის პირველადი გამოყენებისას (2019 წლის 1 იანვარი) სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებას არ აქვს ეფექტი საკუთარი კაპიტალის საწყის ნაშთზე.

ფასს 16 ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან, რომელმაც ჩაანაცვლა ბასს 17 - „იჯარა“ და ფასიკ 4 - „როგორ განვსაზღვროთ შეიცავს თუ არა კომპონენტი იჯარას“. ფასს 16-ის შესაბამისად მიღებული იჯარა აღიარდება, როგორც აქტივი და ვალდებულება. ფასს 16 ითვალისწინებს გამარტივებულ მიდგომას იმ საიჯარო ხელშეკრულებებისთვის, რომელთა ვადა 12 თვეზე ნაკლებია ან რომელიც უკავშირდება დაბალი ღირებულების მქონე აქტივის იჯარას. გაცემული საიჯარო ხელშეკრულებების აღრიცხვისთვის ფასს 16-ის მოთხოვნები არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის მოთხოვნებისგან.

ჯგუფს აქვს ერთი საიჯარო ხელშეკრულება როგორც მეიჯარეს, ფასს-16-ის მიხედვით კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა არ შეცვლილა და შესაბამისად საიჯარო შემოსავლები აღიარდება წრფივად.

გადასვლის მეთოდი და გამოყენებული გათავისუფლება

ჯგუფმა გამოიყენა პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომა: სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის არ ევალუა იმის ხელახლა შეფასება, ხელშეკრულება წარმოადგენს თუ არა საიჯარო ხელშეკრულებას, ან შეიცავს თუ არა იგი იჯარას. ისეთი ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც ადრე ბასს 17-ის „იჯარა“ და ფასიკ 4-ის „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“ შესაბამისად კლასიფიცირებული არ ჰქონდა, როგორც იჯარის შემცველი ხელშეკრულება, არ მოხდა ფასს 16-ის გამოყენება. ფასს 16-ის მიხედვით იჯარის იდენტიფიკაცია გამოყენებულ იქნა მხოლოდ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც დაიწყო ან ცვლილება შევიდა 2019 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ.

ფასს 16-ით დაშვებულია გათავისუფლებები, რომელთა ნაწილი ეხება სტანდარტის პირველადი გამოყენების შემთხვევას. ადრე, ბასს 17-ით საოპერაციო იჯარად კლასიფიცირებული იჯარის მიმართ ჯგუფმა გამოიყენა ფასს 16-ის შემდეგი გათავისუფლებები:

ა) არ გაითვალისწინა თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღით აქტივის გამოყენების უფლების შეფასებაში, იმ იჯარებისთვის, რომლებისთვისაც აქტივების გამოყენების უფლება იყო განსაზღვრული ისე, როგორც განსაზღვრა მოხდებოდა იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ფასს 16-ის გამოყენების შემთხვევაში;

ბ) არ აღიარა აქტივების გამოყენების უფლება იმ იჯარებთან მიმართებაში, რომლის იჯარის ვადა სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღის შემდეგ 12 თვის განმავლობაში იწურება. ამგვარი იჯარები მოკლევადიანი იჯარების მსგავსად აღირიცხება. როგორც მოიჯარე, ჯგუფი ძველ პერიოდებში აკლასიფიცირებდა იჯარას საოპერაციო ან ფინანსურ იჯარად, იმის მიხედვით ხდებოდა თუ არა საიჯარო აქტივთან დაკავშირებული არსებითი რისკისა და სარგებლის გადაცემა. ფასს 16-ის მიხედვით, ჯგუფი უმეტესი იჯარის შემთხვევაში აღიარებს გამოყენების უფლების სახით არსებულ აქტივს და საიჯარო ვალდებულებას.

ფასს 16-ის დანერგვის შედეგად ჯგუფმა აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება აღიარა შემდეგნაირად:

კლასიფიკაცია ბასს 17-ით	კლასიფიკაცია ბასს 17-ით აქტივების გამოყენების	საიჯარო ვალდებულება
საოპერაციო იჯარა	სერვერის განთავსებისთვის საჭირო ფართის იჯარებისთვის: აქტივების გამოყენების უფლება აღიარებულია საიჯარო ვალდებულების ტოლი თანხით შესწორებული წინასწარი გადახდებითა და დარიცხული ვალდებულებით.	აღიარებულია მომავალი საიჯარო გადასახდელების ზღვრული სასესხო განაკვეთით დისკონტირებული ღირებულებით 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ზღვრული სასესხო განაკვეთი არის საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივის გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა. ზღვრული სასესხო განაკვეთი სერვერების განთავსებისთვის საჭირო ფართების შემთხვევაში მერყეობს 11.90 - 13.04% განაკვეთების ფარგლებში.

20. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ის არეები, რომელზეც გავლენა იქონია ფასს-16-ის დანერგვამ:

	31 დეკემბერი 2018	
	ფასს 16	1 იანვარი 2019
აქტივები		
აქტივის გამოყენების უფლება	285,082	285,082
ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულებები	285,082	285,082

(ა) აქტივის გამოყენების უფლების კორექტირება არის წინა პერიოდში საოპერაციო იჯარად კლასიფიცირებული ხელშეკრულებების ეფექტი.

(ბ) ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განმარტებული მინიმალური საიჯარო გადასახდელებიდან ფასს 16-ის მიხედვით 2019 წლის 1 იანვარს აღიარებულ საიჯარო ვალდებულებამდე.

მინიმალური საიჯარო გადასახდელები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით -

საიჯარო ვალდებულება, რომლებიც ადრე აღირიცხებოდა ბასს 17-ით 285,082

საიჯარო ვალდებულება 2019 წლის 1 იანვრისთვის 285,082

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელდა ახალი კორონავირუსი (COVID-19). მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისათვის ცნობილი იყო გარკვეული შემთხვევების შესახებ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მათ კორონავირუსი, როგორც გლობალური საფრთხე შეაფასეს მხოლოდ 2020 წლის 31 იანვარს, რადგან ვირუსის მნიშვნელოვანი განვითარება-გავრცელება არ მომხდარა 2020 წლის იანვრამდე. 2020 წლის 11 მარტს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონავირუსული დაავადების სწრაფად გავრცელების გამო, პანდემია გამოაცხადა. 2020 წლის 21 მარტს საქართველოს მთავრობის მიერ ვირუსის - კოვიდ-19-ის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით ქვეყნის მასშტაბით გამოცხადდა საგანგებო ვითარება. 2020 წლის 31 მარტიდან კი ამოქმედდა საყოველთაო კარანტინი, რამაც მნიშვნელოვნად შეზღუდა საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილება და სხვადასხვა სექტორის ეკონომიკურ საქმიანობაზე დაწესდა მთელი რიგი შეზღუდვები.

ვირუსმა შესაძლოა ბევრ ინდუსტრიაზე მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა შემდგომი მიზეზების გამო:

- საქონელსა და მომსახურებაზე მომხმარებლის მოთხოვნის შემცირება, დაკარგული შემოსავალი, მომხმარებელთა თავისუფლად გადაადგილების შეზღუდვის გამო
- კაპიტალური ინვესტიციების ნაკლებობა, მშენებლობების შემცირება, მომხმარებელთა მოთხოვნილებების შემცირების გამო პროდუქტებსა და მომსახურებაზე
- ფინანსურ აქტივებზე საბაზრო ფასების შემცირება, კაპიტალისა და სავალდებულო ინსტრუმენტების ჩათვლით
- გლობალური მიწოდების ქსელის მოშლა, ადამიანებისა და საქონლის გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვების გამო.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის ვირუსის ზუსტი ეფექტის განსაზღვრა ორგანიზაციის ხელმძღვანელობისთვის შეუძლებელია, რადგან დროის მიმდინარეობასთან ერთად ვირუსის განვითარება და ეფექტი ცვალებადია, თუმცა პანდემიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შესაძლო ეფექტი შეიძლება იყოს IT საქონლის რეალიზაციიდან მისაღები შემოსავლის შემცირება.

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს დედა კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას:

- აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

კომპანია ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი.

როდესაც კომპანია ინვესტიციის ობიექტში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას გავლენა ექნება ინვესტიციის ობიექტზე, თუ ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა. იმის შეფასებისას, კომპანიის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, კომპანია ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- კომპანიის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასა და გაზნევასთან შედარებით;
- კომპანიის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა სახელმწიფოებო გარიგებებიდან წარმომდგარი უფლებები; და
- ნებისმიერი დამატებითი ფაქტი ან გარემოება, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანიას ამჟამად აქვს, ან არ აქვს უნარი, მართოს შესაბამისი საქმიანობა ისეთ დროს, როდესაც გადაწყვეტილებების მიღებაა საჭირო, მათ შორის ხმის მიცემის გამოცდილება წინა პარტნიორების კრებებზე.

შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც მშობელი კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც იგი კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება.

შიდაჯგუფური სამეურნეო ოპერაციების შედეგები და ნაშთები, ასევე შიდაჯგუფური ტრანზაქციებით წარმოქმნილი არარეალიზებული მოგება ელიმინირდება კონსოლიდაციის მიზნებისთვის.

არამაკონტროლებელი წილი

არამაკონტროლებელი წილი არის შვილობილი კომპანიის საქმიანობის წმინდა შედეგების და წმინდა კაპიტალის ნაწილი, რომელსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ არ ფლობს დედა კომპანია. არამაკონტროლებელი წილი წარმოადგენს ჯგუფის კაპიტალის ცალკე კომპონენტს. არამაკონტროლებელი წილი ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასებულია ინვესტირებული საწარმოს წმინდა აქტივების პროპორციული წილით.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

დედა კომპანია აღრიცხვას ახორციელებს ქართულ ლარში, შვილობილი კომპანია აღრიცხვას ახორციელებს სომხურ დრამებში. ჯგუფის წარსადგენი ვალუტა არის ქართული ლარი, რაც გულისხმობს, რომ ოპერაციები სხვა ვალუტაში, გარდა ლარისა, წარმოადგენენ უცხოური ვალუტით შესრულებულ ოპერაციებს.

შვილობილი კომპანია, რომელიც ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს წარსადგენი ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში, ყველა აქტივს და ვალდებულებას გადაიანგარიშებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღის კურსით, მეწილეების კაპიტალი არის გადაანგარიშებული

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ისტორიულ კურსით, ხოლო შემოსავლები და ხარჯები გადაანგარიშებულია წლის საშუალო კურსის გამოყენებით.

ბ) ოპერაციები და ნაშთები

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2019 და 2018 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი) იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო	სომხური დრამი
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095	0.0060
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701	0.0055

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ჯგუფი განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას. ჯგუფი არ ფლობს ფინანსურ აქტივებს რომლებიც დაკლასიფიცირებულია რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში ან რეალური ღირებულებით შეფასებული მოგება-ზარალში ასახვით.

ამორტიზებული ღირებულება

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ ორ გარემოებას და არ განეკუთვნება მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახულ აქტივებს:

- ორგანიზაცია აქტივს ფლობს ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდას ძირითადი თანხის დარჩენილ ნაწილზე.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ჯგუფის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები (მაგ. მოთხოვნები) ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ჯგუფი ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურებისთვის იყენებს გამარტივებულ მიდგომას. აღნიშნული ეხება ისეთ ხელშეკრულებს, რომელთა ხანგრძლივობა ერთი წელი, ან ერთ წელზე ნაკლებია. ერთ-ერთი ამგვარი გამარტივებული მიდგომის მაგალითია მოთხოვნისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლა ანარიცხების (რეზერვების) მატრიცის გამოყენებით. ორგანიზაცია იყენებს საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს მოთხოვნისთვის 12-თვიანი საკრედიტო ზარალის, ან ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, შესაბამისად.

ამორტიზებადი ღირებულებით დაკლასიფიცირებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებსა და ფულს და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები არის ადვილად გაცვლიადი წინასწარ ცნობილ ნაღდი ფულის ოდენობაზე 3 თვემდე დაფარვის ვადით და მისი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის ან იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) ჯგუფი არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

ჯგუფი განსაზღვრავს მისი ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას. ჯგუფი არ ფლობს მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები

„სხვა ფინანსური ვალდებულებები“, თავდაპირველად აისახება რეალური ღირებულებით გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით. „სხვა ფინანსური ვალდებულებები“ შესაბამისად, ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით საპროცენტო ხარჯის აღიარების პარალელურად ეფექტური მოგების საფუძველზე.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

რეალური ღირებულებით შეფასება

ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულებით შეფასება და განმარტება. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებით შეფასებისათვის ჯგუფი იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებას ჯგუფი ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული).

დონე 2: თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირ ან არაპირდაპირი ემპირიული მონაცემების მიხედვით, როგორცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს.

დონე 3: არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე. თუ პირველ და მეორე დონეებში აღწერილი ემპირიული ფასები არ არსებობს, მაშინ ხდება შეფასების სხვა მეთოდების გამოყენება.

რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ჯგუფის საკუთრებაში არსებულ მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. ცვეთა ერიცხება აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ჯგუფი იყენებს ცვთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	20-25
ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი და ინფრასტრუქტურა	15-25
ქსელური და მონაცემთა ბაზის აღჭურვილობა	5-8
მანქანა-დანადგარები	5-8
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	4-8
სატრანსპორტო საშუალებები და მძიმე ტექნიკა	4-8

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოხილვა და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით და შემდგომში ამორტიზირდება წრფივი მეთოდით სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ამორტიზაციის ხარჯს მოიცავს ადმინისტრაციული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

გრძელვადიანი უფლების ჯგუფის სასარგებლო მომსახურების ვადები განმარტებულია მე-11 შენიშვნაში, დანარჩენი ჯგუფები ამორტიზირდება 7 წლიანი ვადაზე. ყველა არამატერიალური აქტივი ამორტიზირდება წრფივი მეთოდით.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებები, მარაგების გარდა, განიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. ასეთის არსებობის შემთხვევაში, სარმო ვალდებულია შეაფასოს აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

გაუფასურების მიმოხილვის მიზნებისთვის, აქტივები, რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება უცმირეს იდენტიფიცირებად ჯგუფებად, რომელიც წარმოქმნის ისეთი ფულადი ნაკადების შემოსვლას საწარმოში, რომლებიც მნიშვნელოვნად დამოუკიდებელია

სხვა აქტივებიდან ან აქტივთა ჯგუფებიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადებისგან (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული).

ჯგუფის კორპორაციული აქტივები არ წარმოქმნის ფულად სახსრებს სხვა აქტივებისგან დამოუკიდებლად. თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, განისაზღვრება იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ან ერთეულთა ჯგუფის ანაზღაურებადი ღირებულება, რომელსაც განეკუთვნება კორპორაციული აქტივი.

გაუფასურების ზარალი აღიარდება როდესაც აქტივის საბალანსო ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებასა და ზარალში. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების ზარალის აღიარება უნდა მოხდეს შემდეგნაირად : პირველ რიგში, გაუფასურების ზარალი უნდა განაწილდეს ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე მიკუთვნებულ გუდვილზე და შემდგომ მოცემული ერთეულის სხვა აქტივებზე მოცემულ ერთეულში შემავალი თითოეული აქტივის საბალანსო ღირებულების პროპორციულად.

თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალი შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ დამდგარ გარემოებას (მაგალითად დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), უკვე აღიარებული გაუფასურების ზარალი

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შებრუნდება მოგებაში ან ზარალში ასახვის მეშვეობით პირდაპირ ან შესაბამისი გაუფასურების რეზერვის კორექტირებით. გაუფასურების შეზღუდვების თარიღისთვის არსებული ინვესტიციის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდა იმ ამორტიზებად ღირებულებას, რომელიც გვექნებოდა, გაუფასურება რომ არ აღიარებულიყო.

მარაგები

ჯგუფის მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ჯგუფი ყველა სახის მარაგის ჩამოწერისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი ბიზნეს პროცესის დროს არსებული სავარაუდო სარეალიზაციო ფასს გამოკლებული ცვლადი გაყიდვის ხარჯები.

შემოსავლის აღიარება ფასს 15-ის მოთხოვნების შესაბამისად

შესასრულებელი ვალდებულებები და შემოსავლის აღიარების პერიოდი

მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებების წარმოქმნილი შესასრულებელი ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგ ჯგუფებად:

- სამშენებლო მომსახურება მოიცავს ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების დამონტაჟებას ქუჩის განათებებზე და ელექტრო გადამცემ ბოძებზე თბილისში. შემოსავლები აღიარებულია გამოყენებული რესურსების მეთოდით, დანახარჯებზე დაფუძნებული გამოყენებული რესურსების მეთოდით.
- გადაცემული ღირებულების ტექნიკური მომსახურები, რომელიც მოიცავს „შეუზღუდავი გამოყენების უფლების“ ხელშეკრულების ფარგლებში გადაცემული წვერების პროფილაქტიკურ-ტექნიკურ და საავარიო აღდგენითი მომსახურებებს. შემოსავლები აღიარებულია გამოყენებული რესურსების მეთოდით, წრფივი მეთოდის საფუძველზე.
- შემოსავალი ინტერნეტიდან და საკომუნიკაციო მომსახურებებიდან მოიცავს საბოლოო მომხმარებელთან ინტერნეტ მომსახურებებს და შეერთების პორტებთან დაშვების მომსახურებებს. შემოსავლები აღიარებულია გამოყენებული რესურსების მეთოდით, წრფივი მეთოდის საფუძველზე.
- კომპიუტერული ტექნიკის რეალიზაციას.

ჯგუფი შემოსავალს აღიარებს დროთა განმავლობაში, რადგან მომხმარებელი იღებს და მყისიერად მოიხმარს მიღებულ სარგებელს, ჯგუფის მხრიდან შესასრულებელი ვალდებულების შესრულებისთანავე, გარდა კომპიუტერული ტექნიკის რეალიზაციისა, რომელიც აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, გამომდინარე იქიდან, რომ მომხმარებელს კონტროლი გადაეცემა ჯგუფის საწყობიდან კომპიუტერული ტექნიკის გატანის მომენტში.

მომხმარებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში ჯგუფი წარმოადგენს მარწმუნებელს. მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებისთვის მომსახურების გაწევასა და ანაზღაურებას შორის პერიოდი არ აჭარბებს ერთ წელს. შედეგად არ ხდება გარიგების ფასის კორექტირება ფულის დროითი ღირებულებიდან გამომდინარე. დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტად არ განიხილება მომსახურების ან საქონლის მიწოდების სანაცვლოდ მიღებული ავანსები, თუ მომხმარებელი განსაზღვრავს საქონლის ან მომსახურების გადაცემის დროს.

გარიგების ფასის განსაზღვრა

ჯგუფის შემოსავალი ეფუძნება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფიქსირებულ თანხებს. მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად მომხმარებლებისგან ანგარიშსწორების მიღება ხორციელდება ძირითადად 30-45 დღის ვადაში მომსახურების დასრულებიდან ან პროდუქციის მიწოდებიდან.

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან არ არის მოსალოდნელი.

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახდელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯების, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. ჯგუფის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის სპეციფიკიდან გამომდინარე არ არსებობს განსხვავება საქართველოში რეგისტრირებული ჯგუფის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო ღირებულებას შორის, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივის ან ვალდებულების არსებობა.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

მომსახურების გაწევისას წარმოქმნილი ხარჯები აღიარდება მიღებული შემოსავლის პროპორციულად. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ხელფასები და ბონუსები

ხელფასები, ბონუსები და არამონეტარული სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო ჯგუფმა დასაქმებულისგან.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ თანახმად, დაკავშირებულ მხარეებს შეიძლება წარმოადგენდეს:

- მხარე პირდაპირ ან ერთი ან რამდენიმე შუალედური რგოლის საშუალებით არაპირდაპირ აკონტროლებს კომპანიას, კონტროლდება კომპანიის მიერ ან იმყოფება ერთობლივი კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ კომპანიებს) კომპანიაში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია რომ შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოპოვება მასზე.
- მხარე არის კომპანიის ან მისი მფლობელის უმაღლესი მმართველი პირი;
- მხარე არის (ა) ან (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;
- მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (გ) პუნქტში გათვალისწინებულ რომელიმე პირს ან, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პირები.

როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.